

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ი ა ს გ ი

15/11
4
5
10174

მუჟაკა სუასრუა

გენერალი რომმელი ტრაბანოზდა: „თუ მოკავშირეებმა სცადეს საფრანგეთის ტერიტორიაზე შემოტრა, ისინი დაწმუნდებიან, რომ ჩვენი სიმაგრეები აუღებელიაო.“

ნახ. მ. ვადბოლსკისა და დონისა



— არ ვაბედლოთ შემოტრა, თორემ იმდენს ვარბენინებთ, რომ ოფლში გაიწუროთ!

— აკი გითხარით სირბილისაგან ოფლში ვაგწურავთ მეთქი!

„გერმანულ სააგენტოს — ტრანსლოციანის“ ცნობით ბერლინში კმაყოფილი არიან საფრანგეთში შემოჭრილ მოკავშირეებთან ომის მსვლელობით“.

ნახ. ს. ნადარეიშვილისა



— ფიურერის კმაყოფილია ნორმანდიაში მოკავშირეების შემოჭრით.
— ასევე „კმაყოფილი“ იყო მათი იტალიაში შემოჭრით და რომი დაგ-
ტოვით.

ე ღ ვ ე

ახალი „წარმატება“

ლონდონი. აქ გავრცელებული ხმების მიხედვით დაიწყო გერმანელების „იერიში“ ბრიტანეთის კუნძულზე. პლიმუტის ნავთსადგურის ბაქანზე ათასო-
ბით გამოჩნდნენ.. გერმანელი ტყვეები.

გარდაცვალება

ლივორნო. რომის აღების შემდეგ ფიურერის მიერ შეთითხნილმა ღერძმა
„რომი — ბერლინი“ ჩვენი კირი წაიღო.

„აგარაკმა მიიზიდა“

ჟენევა. გერმანიის შტაბის განცხადებით, გავრცელებული ხმები კესელ-
რინგის იტალიიდან გამოქცევის შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება. მისი
შუკანდახევა აიხსნება მხოლოდ იმით, რომ გენერალს სააგარაკოთ გადაყავს
თავის ჯარის ნაწილები ალპის მთის კალთებზე — იტალიაში არაჩვეულებრივი
სიციხეების დაწყების გამო.



ეშა, მისმინე ნიანგო, ვზი ფირმანისა წერადა, —
მწადის ღერძელთა ამბავნი გამცნო მე ფერად-ფერადად:
მათ სავიზიტოდ მოვხაზე უკანასკნელი დეკადა-
ოდეს გამძაფრდა დარტყმები შიტლერის ასაფხეკადა.
ათი დღის წინათ ბერლინში რომ ჩავფელ უჩინარადა —
მყის „ფიურერის“ ბუნავის კარებთან გავჩნდი წყნარადა.
ვხაზე და თნრობაც ძნელია, რაც იქ ამბებნი ხდებოდა:
დაჭრილი მხეცის ხერხემლის ძვალი ჭაზანით ტყდებოდა,
ღმუოდა, იხლაკნებოდა, ცოფის დორბლები სდიოდა;
— „შეაჩერეთო წითელი არმიის დარტყმა“ — კიოდა,
და აი, ამ დროს უფერად „ღუჩემ“ შემოყო თავია,
მას ხელში იტალიური წაღა ეჭირა — შავია,
ღანჩამძვრალს და დახეულს — გუულს იხუტებდა იმასა,
ბრტყელ ნიკაპს აცანცახებდა, აფრქვევდა ცრემლთა წვიმასა.
— ეგ რა ჯღანია, რა მოგაქვს? — შკითხა შიტლერმა წყრომითა...
— „ესღა ნაშთი“ — ბენიტომ სთქვა ფეხზე წამოდგომითა, —
„იტალიური ფაშიზმის და ჩემი დუჩეობისა,
ესღა ნაშთი ფიურერ, ჩვენი უტკბესი ძმობისა.
პრიქა, გვიშველე რამე, ღერძი გავგიტყუა ნაზია,
აწ გუსტავის ხაზს ვინ ჩივის? — გაირღვა შენი ხაზია...“
არ დაემთავრა მუსოლინის სლოკინი — საჩივარია,
რომ ქუდმოკლეჯით რომმელმა შემთავტვრია კარია:
— „ვაი, ფიურერ, გვიშველე, ლამანშუმიც დავრჩით პირღია,
მოკავშირეთა დესანტმა ხაზები შემოგვირღვია,
გვიშველე...“, მაგრამ მას უცბად შეაწყვეტიანა ბლავილი,
ფონ-ბარონ მანერშაიმი რომ შემოვარდა ჩხავილით:
— „თქვენ სჩივია: ხაზს გარღვევას? — ეგ სიტყვა ჩემზე ვრცელდება:
ისე ღრმად გამირღვივს, რომ აწ ვეღარ გამიმთელდება!
წითელ არმიის დარტყმებმა მთლად დამიღეწა რაზები,
თხის კეცივით დამიფუნა მე, მანერშაიმს ხაზები,
გვიშველე...“, მაგრამ „გვიშველეს“ კვლავ სხვა „გვიშველე“ დაერთო:
მინსკიდან გამოქცეული სარდალი მოწყვა საერთოდ:
— „ბეღმა აწ ჩვენი კარტები უკუღმა ჰყო აღრეული —
როცა საბჭოთა ფრონტებზე აღმოჩნდით ხაზგარღვეული,
მოგვღვს — მოვრბივართ, გვირტყამს და ვღრიალებთ
გულგბარაზებით:
„ჰაუ, გვიშველეთ, ფიურერს ყველგან გაერღვა ხაზები!“
— „ხხნას ნულარ ელით ძაღლებო!“ — რისხვით შევძახე მეც ისა.
წამოველ, გზაში მესმოდა ღმუილი დაჭრილ მხეცისა.

ფარსადანი

მევაპოკოვა

უკანასკნელ ხანებში იაკობ მშვიდბერგს ვერავინ ცნობდა, — ვერც
მეზობლები და ვერც მისი ნაცნობ-მეგობრები. ცოცხალ მოსაუბრესა
და მოკამათეს, რომელიც ყოველივე საზოგადოებრივ მოვლენას თა-
ვისი შეხედულებისა და აზრის გამოთქმით უბასუსებდა, და ზოგიერთ
შემთხვევაში ნერვიულობას იჩენდა, — ახლა სიტყვას ვერ ათქმევი-
ნებდით. დადიოდა გულჩათხრობილი, ჩაფიქრებული, თითქოს მის
გარშემო არაფერი ხდებოდა.

ვერავის აფხნა რით იყო გამოწვეული მასში ასეთი შინაგანი
ცვლილებები.

— იაკობ, თუ კაცი ხარ გვიტნარი — რით არის გამოწვეული თქვე-
ნი ასეთი დამშვიდება, როცა უბედურება გვატყდება თავს, — ეკით-
ხებოდნენ მას მოკავშირეთა ჯარების ეგრობაში შემოჭრასთან დაკავ-
შირებით.

— დ.ა.ხ, ეს ცუდი ამბავია... მაგრამ ჩემთვის ეს უბედურება
თითქოს არც კი არსებობს. როგორც გავს ადამიანი ყველაფერს
ეჩვევა.

ასეთი ახსნა-განმარტება არავის აკმაყოფილებდა. ისინი ეძებდ-
ნენ მიზეზს იმისას, რაც მოქალაქე მშვიდბერგს ნერვებს დაუმშვი-
დებდა.

— არა, შენ ჩვენ მართალს არ გეუბნები... ჩვენ ყველა ნერვას-
ტენიკები გავხდით იმ კატასტროფის გამო, რომელსაც ჩვენი ქვეყანა
განიცდის, შენ კი დადიხარ, თითქოს „ცა ჭუდით გქონდეს და მიწა
ქალამნად“ — ეუბნებოდნენ მას. თვით მშვიდბერგსა და მის ცოლსაც
აოცებდათ ის გარემოება, რომ მშვიდბერგი ყველაფერს ინდუფერენ-
ტულად უტყპრდა, არაფერი აღელვებდა. ცოლის რჩევით მშვიდბერგ-
მა ექიმს მიმართა, რომელსაც ჩერვიული მდგომ. როცა ექიმმა ასე
განუზარა: — თქვენ სისტემატური ექიმობა დაგვირდებათ იმისათვის,
რომ მოშლილი ნერვიული სისტემა თავის ნორმალურ მდგომარეო-
ბას დაუბრუნდეს. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ნერვები
სრულიად არ მოგვაოებათ.

მშვიდბერგმა მადლობა გადაუხადა ექიმს, სახლში დაბრუნდა
და ცოლს მოასწენა: ყველაფერი რიგზე მქტნია, გარდა ნერვებისა,
რაც მე პირადათ არ მაწუხებს — ფიურერმა ნერვები სამუდამოდ
ღოგვიშალა.

გახდ. შენც ჩემსავით უნერვო. ასე აჯობებს. მაშინ ვეღარ იგრძ-
ნობ იმ ჯოჯოხეთს, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით.

იყნოსას

ფინეთის დეპუტატი სააგენტო „ლანტი“ მოუწოდებს მანერპეიმის ხაზის გარდევასთან და წითელი არმიის მიერ ჰელსინკის მოსალოდნელ აღებასთან დაკავშირებით ბავშვები გახიზნეთო. ამავე დროს მთავრობის წევრთა ოჯახები პირველ რიგში გარბიან.

(გაზეთებიდან)

„გესმით?—საბრალოდ ჩიფჩიფებს „ლანტი“: ჰელსინკს დღეს თუ ხვალ მოხვდება ლანტი,

რადგან მოწმე ვარ უკვი მე იმის, რომ გაწყდა ხაზი მანერპეიმის.

ხაზი, რა ხაზი—ფიორდის ტინის, პიტლერისაგან ნაკურთხი რკინის,

ფახი-ფუხით და რიბით ნაგები, ტანერისაგან მრავალნაქები.

ამიტომ გირჩევთ მე მოწიწებით გახიზნოთ ჩელი გოგო-ბიჭები.

ხოლო ქონება, ბარგი-ბარხანა, ჩვენ დაგვიტოვეთ, ნუ მივაქვთ თანა...“

ეს სასაცილო მიეთ-მოეთი შიშის ბლავილათ ჩვენ მიგვაჩნია, თან საქმით ვხედავთ, რომ დღეს გაქცევას იღინი ბავშვებს როდი აცლიან.

დასამალავად თვით მიათრევენ ნაძარცვი ბარგით საესე კალათებს, რადგან იციან: ბავშვებს კი არა, ჩვენ გავსრესთ მხოლოდ ბავშვთა ჯალათებს.

თარსი

სანაგრო „კარაბი“

„თანაშემამულენი 70 წელს გადაცილებულნი ვალდებულნი არიან ჩაებან წარმოებებში“.

(თაშისტური გაზეთებიდან)

ნახ. მ. ვაღბოლსკისა



— თქვენც ჩავაბეს წარმოებაში?
— რატომაც არა! მე ჯერ ახი წლისაც არა ვარ.

უაჩასის უაჩასი

„გვრმანიაში გამოცხადდა ახალი შეგროვება ძველი ტანსაცმელებისა“.

(გაზეთებიდან)

ნახ. დონისა



— ძველი ტანსაცმელების შეგროვება იწყება. რაღა დამრჩენია ტყავის მეტი?

— შენი არ ვიცი და მე კი ტყავიც არ შემარჩინებს.

ორი სუკათი

1.

ისინი ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ, ავტორი და რეჟისორი. რეჟისორს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ნაპოლეონს ბერლინის აღების შემდეგ, ავტორი იმავე ნაპოლეონს გაედა, ოღონდ მოსკოვის დატოვების შემდეგ.

— ასე, ამხანაგო! ჩაუვიკრდით ჩემს შენიშვნებს და იმათი მიხედვით მოიქეცით—ეუბნებოდა რეჟისორი ავტორს.

ავტორმა გადახედა მის წინ გაშლილ ფურცელს. შენიშვნები კი ასეთი იყო:

- 1) ესაა დრამა. გადაკეთდის კომედიათ.
- 2) მთავარი გმირი კვდება. დარჩეს ცოცხალი.
- 3) მოქმედება წარმოებს საქართველოში. გადატანად იქნას ოსეთში ორი მოქმედება, უკრაინაში ერთი, ხოლო საქართველოში დარჩეს ერთი.
- 4) ნაჩვენები იქნას პარტიზანული მოძრაობა.
- 5) აგებსა ცივი ქალია, შეავარჯთ ვინმე.
- 6) შეიტანეთ პიესაში ცეკვა-სიმღერები. ხალხს სიცილი უნდა. ი. ფეხაძე...

— ჩაუვიკრდები თქვენს შენიშვნებს,—უთხრა ავტორმა რეჟისორს, აიღო თავისი პიესა და მძიმე ნაბიჯით დასტოვა კაბინეტი.

2.

ისინი კვლავ ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ, ავტორი და რეჟისორი. რეჟისორს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ნაპოლეონს ბერლინის აღების შემდეგ, ავტორი გაედა საბჭოთა გენერალს ყირიმის განთავისუფლების შემდეგ.

— ასეა, ამხანაგო! ჩაუვიკრდით ჩემ შენიშვნებს და იმათი მიხედვით მოიქეცით,—ეუბნებოდა რეჟისორი ავტორს და თან უვიკრდა, რატომ ჰქონდა ავტორს მხიარული სახე.

ავტორი კი მეთრფე კითხვლობდა რეჟისორის შენიშვნებს. ხოლო შენიშვნები ასეთი იყო:

- 1) პიესას აკლია ბუნებრივობა.
- 2) ხასიათები არაა გამოკვეთილი, სუსტია ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოვლინება.
- 3) ბევრია ტიპები, შეშინებული.
- 4) ავტორი არ იცნობს იმ ეპოქასა და ვითარებას, რომელსაც ენება.
- 5) ავტორს აკლია სცენის ტექნიკის ათვისება.
- 6) ენა არაა გამართული. საერთოდ პიესა საქიროებს ფუნდამენტალურ გადაკეთებას. ი. ფეხაძე.

— ხა... ხა... ხა...—გადაიხარა ბოლოს ავტორმა.

— რა გაცინებთ?—გაუვიკრდა რეჟისორს.

— ის მაცინებს, ჩემო კარგო, რომ ეს შექსპირის პიესაა... მე თქვენ შექსპირის პიესა მოგიტანეთ,—უპასუხა ავტორმა.

— მოიცა, კაცო, რაა მიუბნები? მოიცა აქ,—წამოხტა რეჟისორი.

— ჩაუვიკრდებიან თქვენს შენიშვნებსაც,—უთხრა ავტორმა რეჟისორს და მსუბუქი ნაბიჯით დასტოვა კაბინეტი.

როდონ შოკშია

პატრონის განქარვულებით დაპატრონებულმა ქრიაველი ბენქ რაული და ოსტოცია აბოთოლაში სიზხადლა წაგარჩინსათვის

ნან. ღონისა



სს-ელი აბა გზა ჩამოდები ტყვი გერნლები მოგყავს! მოძალაბა-რუსები? სს-ელი-არა, ჩვენები.

პირობა ავადრათ ვარია

პატრონის ვეზა ქვევანა დაბრუნდა ჩალითა და დიპლომატა მსოფლიოს ღრის საში მანანალითა. დონა გვიღოდა ვერაგი თვის ვერაგული ნელითა; ტრახბანი, ფანი-ფანი, ვაბაღის ცრუბელობითი. ჩვენი მოგადელი ვერაგისა-ლოდე მადარი კლდნდით, ვინ ვისკლეს ჩვენს ვაქცელებს, ვაშლაშეჭებს ჩვენდელთ. მაგრამ არაფერ შემდეგ იმტეროდა გეჭიოთი... მაგრამ მოგამოჩინი თვითშეტი აბას მანანით. მათ არილთა სიმაგე აქივის ვილა მტერია, უფლად ვაბიან დროცები, შიშით ვეყალთა ვერაი. პატრონისა იფრთხი სიწმუნე, ვით ვაშლიდრეა ქროტისა, ვით ვაჭრული სიხადით-განანა მეთოც ფორტისა.

მურჩინა

ახალი სოფიოლოგია

ნან. ს. ნადაგიშვილისა



— შიშელი გერმანია ორ ბანაკად არის გეყოფილი. — მურყუხად და პროლეტარებად. — არა, მე სხვა საზომს ვგულისხმობ. გერმანიაში დღეს ორი ბანაკია: ისინი, რომლებსაც სვეტიცხე ადისანი, რომლებიც სვეტიცხე უგარავენ.

1. საუბარი მახინჯი ცხოველის შესახებ

ბერლინის ერთერთი სამკითხველოში ნახატებან ტერნის დასკვნის ფრცქუ პაუზური და ელაბარაკის კურტ რაუტერს: — აი, ახლა კურტ, ჩემს წინაშე ძვეს დახატული რარასიაგი, ფურცლებ მას და ვფიქრობ: ყველა ცხოველ შესაფერისი თვისებება უნდა ჰქონდეს მეთუი. აქ დაბრუნებული პრაოპრია. — როგორ თუ დაბრუნებული, განა ვირს მოგარა თვისებულა და გრამეტი ჩანენბი არ უნდა ჰქონდეს? — უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ. — მაშ რას უწუნებ? — ჯერ ერთი ამ დახატულ გოგარს ვურები შილ ვებს. — პო, თუ ვურები მახინჯი აქვს, მართლაც ძნო, იტება ასეთი ვირისათვის სნენის საკითხის მოწმობი. — მაგრამ ეს კიდევ არაფერია კურტ, მეთოც, უფო დღეი სიმახინჯე ახასიათებს ამ ვირისათვის. — რა სიმახინჯე? — აშხლა გოგარაში ტვინი სულ არა აქვს. — საიდან იცი? დახატულ თავში ტვინის დანა ხომ არ შეიძლება? — არა, მე ამის უფვე დახატულის მიხედვით არ ვკენი შე ვიცი სინამდვილიდან. — რა იცი? — სამწუხაროა ამ ვირს ვიცნობ. მისი მოქმედვ ვიცი. ეს დღეს ძლიერ ბევრბა იყის. — მაგალითად? — მან დღეინაია რაკ თავისი წმინტებულთ ვერ-ლი საქმე წაფო და მაინც ჯიუტობს; მაინც ვერ შეფი-ქურტ რაუტერი წამობტება და ჩემოულით ვერბი: — ფრცქუ პაუზერი, რატომ თავიდანვე არ მიიბი, რომ ფურცლებ მელაპარაკებოდო? ასეთი მახინჯ ცხო-ვე უფრო ხმადახლა უნდა საუბარი.

2. განუმარტა

ქუჩაში მიმავალი გერმანელ მოსუტ მუღაგოს პატარა ბავშვი ეტიტინება: — დღეს ბებოთა ამბობა ცხოვრება ისე ვაძიერდა, რომ შენთვის ლუკას ველარ ვმოიფლობო. რატომ გა-ვირდა ბავშვი ცხოვრება? — იმიტომ რომ ჩვენი სიტუაცია გაივდა. — ვინ გააძიერა ჩვენი ცხოვრება და ვინ გაიბაუა ჩვენი სიტუაცია? — ფურცლები. — ჩერი და ვანა ცოფიან ძალს ჰქვიან ფურცლები? — ცე საიდან გამოივინე? — ბებიამ სთქვა: იმ ცოფიანმა ძალმა გააძიერა ჩვენი ცხოვრებაო. განა ცოფიან ძალს ფურცლები ჰქვიან? მოსუტე მუღაგოც ირგვლო მიმოიხედვს და უფრო ხმადახლა განუმარტავს: — არა, ფურცლებს ჰქვიან ცოფიან ძალი.

3. მატყვების თამაში

მელსინის მოდინე ყრუ მოქალაქე ეკითხება კოვლს: — ჩვენს ქალაქშიც დიპლომატა ვევატეია, რას შერი-ბიან ახლა მანერაში და ტანერი? — ვერ იგებენ. — მა, რო? — ვერ იგებენ მეთუი. — როგორ, დავრუდენენ? წითელი არბის ხარბობან-ბის ქუჩილი აქ ისინი და მაინც ვერ იგებენ? — არა, მე ვამბობ—ოსნ ვერ იგებენ მეთუი. — პო ეს ვასებებია. მაშ ვაგებენ? — ცხადია: რაკი ვერ იგებენ, მამასადამე, აგებენ. — არა, მე ვამბობ—პაუსე იგებენ მეთუი. — ეს უფრო ვასებებია.

მახვილია

უყვარული ნიშანი

ნან. ე. გენდლინისა



— ჩვენი რიბე მოახლოვებულა, ფრც. — საიკაი? — ვერა ჩვენს პოლიცის სახლამა ხანჩაფო შემებულენს მიდენა მთხარისა. — ო, ეს თალაც უყვარული ნიშანია.



— შეკანხენ ბრეუტეინი ამანათ ცარნიპოლიდან მეულოდა და ამახ ნაცვლად ღონდონიდან შიდილი. — შეილისაგან? — არა, ჩერჩილისაგან, პირდაპირ. მისი კანხანის სამანქანი ნაწილში ჩამოადგეს ორტონინა უუმზახ ბრიტანელმა მფრინავებმა.

ო. გაუპარნი ნასკადინო

პოლიციის რეკვიზიტორი წრები, იმის ნაცვლად რომ იტლი შეეწინა პოლიციის მწ-წყლის მსოფლიო დაპატრონის გერმანელის დამარცხების დაძლიერ პოლიციის შექმნის გერმანელთან გადაცემულ პოლიციის მწაწყლის ხარჯზე, ბელორუსიან და უკრაინის მხედრებს დიდობენ.

ერთბელ მოლას თვის სახლი დატარეა უცხე ჩაშლა, გულ დასწევა დაკარგულზე სინანულის გრძობის აღწა. მიმოივლო თვალ ბინას, მაგრამ ვერსად დაიხილა ვაიფურა... სლამბო, აქ ვერ ვნახა, რაღან ნენლა... კარხისკენ მიავლინა ანაოლად სივრცის მთავარი, და ოთხში დაკარგული ჩაშლის ძენა იწუა გარედ.

სინამდვილის შეპოვნება

„ბევრ გერმანელს სურს „გაპქარეს უკადლოდ“, მონედეს მოკლულთა სიაში, ამიტომ სიკვდილის ფაქტს ეხლა ამოწმებს გესტაპო.“

(გაზეთებიდან)

ნახ. მ. ვაღბოლსკისა



მშკინივი—მოაწერეთ ხელი ჩემი ქმრის გარდაცვალების ცნობას. მისტაპოლი—მოითმინეთ, გარდაცვალების სინამდვილის შემოწმება ჯერ არ დამთავრებულა.

ჯაიმა

(თავისუფალი თარგმანი)

აბნევი ვარდი გულზე,
გატაცებით იმას უზნერს
ბერიკაცი თუ ჭაბუკი,
მოსეირნობს... მოირხევა
ფეხის ნელი ბაკა-ბუკით.
უცბათ მარცხნით, აღმაცვრად
მან პროსპექტი გადასერა,
სიარულის არ სცნო წესი,
გზა მოსძებნა უმოკლესი.

ამ ამბავმა გამგლელების
ყურადღება მიიქცია.
უცბად გაჩნდა მილიცია
და ნასტიკი ასტყდა სტვენა.
—არ გრცხენიათ? ნუ თუ თქვენა
ვერ შევიგნეთ ამოდენა:
სიარულის წესზე არ გაქვთ
ნატამალი წარმოდგენა!

ეს არ უნდა დამართოს
თვით უსწავლელ სოფლელ მართას.
ასეთი რამ გუშენით განა?

გთხოვთ ჯატიმა გადინადოთ!
—რაო? რისთვის? ნეტავ რატომ?
იცი ვინ ვარ? იცით ვისთან ლაპარაკობთ
დაგაყენო მე დღე შავი...
შე გახლავართ „დიდი კაცის“
მოკეთე და ნათესავი!

მილიციელს უღვაშებში
ჩაეცინა ნელა-ნელა,
და ქვეთარი ჯარიმისა
შეთავაზა იმას ხელად.
აქ კი ქალი,
თუმც ბევრი თქვა სიტყვა მწყურალი,
თანაც ბევრი ნაყა წყალი,
აყენა ქარიშხალი,
ბოლოს მაინც ჩადგა, მოლბა,
მოიხრდილა მარჯვეთ ქოლგა
(მოუშატა ხიცხემ ჩანდა!)
და გულცივად, როგორც იქნა
დინჯად გახსნა ფულის ჩანთა.

ზარბა

უკანასკნელი „გაპოგონება“

„ტყვედ წამოყვანილმა ეფრეიტორმა ლეო კლიმბერმა განაცხადა: ამას წინათ ჩვენ გვიბრძანეს დაგვება ჰეკლა ტყვიამფრქვევი, რომ რუსებს ვერ მოეტყუათ ისინი.“

(„საბჭოთა ხაინფორმაციო შიშროს ცნობიდან“)

ფაშისტების დივიზიის
პოლკის უფროსს ნაგეიმბერგსა.
ტყვიამფრქვევთა ბაწრით დაბმის
ცნობილ „გამომგონებელსა“,
როცა საქმე „ჭადრაკულად“
წაუფიდათ ფაშისტ ჯარებს,
ბლიცკრიგულად რომ მოკურცხლეს
და შინისკენ გაიჩქარეს,
თურმე დიდხანს ფიქრად ქონდა
ისეთი რამ საოცარი
მოეგონა,—ხელთ ქონდა
წარჩინება გამომცხვარი,—
„ფიურერის“ მადლობა ან
უფროსისგან საჩუქარი.—
და შეუგა იგი საქმეს,
მან აიღო ტყვიამფრქვევი.
პოლკს უბრძანა: მოისმინეთ,
არ გაბედოს ვინმემ ვარი,
და იცოდეთ, ტყვიამფრქვევი
ხეებს მაგრად მიაკარით,
რუსებმა რომ ვერ წაიღონ,
სანამ ისევ დავბრუნდებით,
როცა მოვალთ, „ვასროლივით“
ჩვენ რუსებსა ქვეებს კუდებით.“
მაგრამ დახეთ, სულ სხვა მოხდა,
ვინ ჩიოდა ტყვიამფრქვევებს,
თვითონ იგი ტყვედ ჩაფარდა,—
ზურგში მისცეს ბინა ტყვეებს.
და ერთხელ მან თვალის მოკვრა
მოედანზე ტყვიამფრქვევებს,
ის, რაც წითლებს დაუტოვეს
და მიაკრეს ბაწრით ხეებს
და მიეცა ნაგეიმბერგი
შავ ფიქრებს და შიშივე ჯავრსა,
თავისთვის სთქვა: კაპუტ შიტლერ,
ჩვენ რას ვუზამთ წითელ ჯარსა?!

ფარნა ქვემეხაური

ნიანგის დაქსიკონი

ვირის დაბლოგი. ადგილი ჩრდილოეთ-საფრანგეთში, ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირებზე, რომელიც ნორმანდიაში მოკავშირეების შემოჭრის დღიდანვე გერმანელებისათვის ვირის დაბლოგის ნაცვლად ცნობილ დიდუჭურა ცხოველის აბანოდ გადაიქცა.

დასავლეთი. დედამიწის მხარეების ერთერთი ნაწილი, კერძოთ ის მხარე, საითაც მზე ჩადის. თავისთავად მზის ჩასვლა არასასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ უფრო არასასიამოვნოა გერმანელი ფაშისტებისათვის, როცა დასავლეთიდან მასობრივად ჩამოდიან გემებიდან და ჰაეროდან მოკავშირეების დესანტები.

დარღველი. ცნობილი სრუტე და სიმაგრე მარმარილოსა და ეგეოსის ზღვის შორის, რომელიც კეტავს შავი ზღვის გასავალს. ამ სრუტეში ჩვენი მეზობლები ზოგჯერ შავ საქმეს აკეთებენ, როგორც არის მაგალითად გერმანიის სამხედრო გემების გაპარება. თურქეთის მთავრობის მეთაურები აქ არაფერ შუაში არიან. ეს „მათ უნებურად მოხდა“, რადგან „მარჯვენამან ვერ გაიგო, რას აკეთებდა მა“ ცხენაი მისი“.

ამოქმედა. ძუსი ამოკვრა ან ფეხებში ამოფარება. უმთავრესად ცხოველების კუდს ახასიათებს შიშის დროს. განსაკუთრებით დამახასიათებელია გებელსის კუდის ახლანდელ პოზისათვის.

ორი განაჩენი

იტალიაში „პარტიზანთა ტრიბუნალების გადაწყვეტალებით“ ანთროციელებენ გამკემთათვის გამოტანილ განაჩენს.

(გაზეთ „ტრიბუნ დე ვენევიდან“)


ნახ. ს. ნადარეიშვილისა



1.

(ფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენელი იტალიაში — დამსჯელი რაზმის უფროსს.)

— გვევალებათ ჩვენი ტრიბუნალების განაჩენი სისრულეში მოიყვანათ — ჩვენს რაიონში შეიპყროთ პარტიზანები და სიკვდილით დასაჯოთ.




2.

(დამსჯელ რაზმის შტაბში გამოცხადდება პარტიზანების ჯგუფი სამხედრო ფორმაში. — შტაბის უფროსი და იქ მყოფნი მიესალმებიან)

— მოვედით გასაგებად, — მოყვანილია თუ არა სისრულეში ტრიბუნალების დადგენილება?

— როგორ? ჯერ ხომ პარტიზანები არ შეგვიპყრია.




3.

— სამაგიეროდ ჩვენ ვასრულებთ ჩვენი ტრიბუნალის დადგენილებას (იზიშვლებენ რევოლუციებს).

ამხანაგო ნიანგო!

დაკავების შავკითხვადნა



ყოველგვარი ნივთის შეკეთება შეიძლება, როცა ის დაზიანებულია. შეიძლება მათი გადაკეთებაც. ამისათვის არსებობს ყველგან სათანადო სახელოსნოები. ეს კარგად მოგეხსენება ამხანაგო ნიანგო, მაგრამ ის კი ალბათ არ იცი, რომ ვანის სარაიონო ფოსტაში მოწყობილი ყოფილა დეპეშების შემკეთებელი სახელოსნო.

იქ, როგორც სჩანს, ყოველგვარი შეკეთების გარეშე აწარმოებენ მიღებულ ზოგიერთ დეპეშის საღსალამათი სიტყვების „შეკეთებას“. ესე იგი აჰკეპ-დაჰკეპენ, აჯღან-დაჯღანავენ, ზოგ სიტყვას ცხვირს მოსჭრიან, ზოგს — გზ-მოშიგნიან და ჩააყენებენ ისეთ მდგომარეობაში, რომ დეპეშის ტექსტი ან სახუმარო გამოვიდეს, ან ტრადიკული. შემდეგ ჩააბარებენ პატრონს.

ვანის ტელეგრაფმა ასეთი „შეკეთების ოპერაცია“ ჩაატარა 5 ივნისსაც: ამ დღეს თბილისიდან ვანის რაიონის ს. შუამთის მკხოვრებს მოქ. ავლიანს გაეგზავნა დეპეშა:

„თამარა ჩამოვიდეს სასწრაფოდ ბინის დავთარში ახლად ჩასაწერად.“

სონა ციციშვილი

ვანის ფოსტაში ამ ტექსტს ასეთი ფერისცვალება შეემთხვა:

„თამარა ჩამოდი სასწრაფო ბინისათვის.“

სინია ცინცაძე

ეფორიაქებული აღრესატი დიდ საგონებელში ჩავარდა, ვიდრე თბილისში ჩამოვიდოდა და გამოარკვევდა საქმის ვითარებას. — ვანის ტელეგრაფის ხელოსნები კი ალბათ კმაყოფილებით ჩხირკედლობდნენ სხვა ტექსტის გადასაკეთებლად. ერთი დეპეშა გაუგზავნე ამხანაგო ნიანგო, ვანის ფოსტის უფროსს.

ნეთუ მაშინაც არ მიაქცევს ის ყურადღებას, როცა „შეკეთებული“ ტექსტით მიართმევენ პირად დეპეშას?

სანციო

ნავთის ღერივით ჭაურება

ამხანაგო ნიანგო! ყიზლარის და გულაურის ქუჩებზე მენავთეები ცხოვრობენ. ისინი კასრით დაატარებენ ნავთის და ტალონებზე ჰყიდიან ქუჩებში. მათი „ვაჟაკობის“ შესახებ შენს ფურცლებზეც ბევრჯერ წავგიკითხავს, მაგრამ ის მაინც არ ამოსწურავდა მათს „ღვაწლს“.

განსაკუთრებით მთელს უბანში სახელმოხვეჭილი კაცია მენავთე ალია, რომელიც მომხმარებელს ნავთის კუთვნილი ნორმიდან ნახევარს ქაფს აძლევს.

— ნუ აქაფებ ალი, გაავსე ლიტრიანი, — ეუბნებიან მას.

— ბევრს ნუ ლაყობ, — უღრიალებს მათ ალია, — შენ რომ უქაფოდ მოგცე, მე რით ვიცხოვრო? არ იცი, რომ ნავთი ლუდივით ქაფდება?

— ლუდი რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ ლუდზე ხალტურა ნებადართულია. მე კი ერთ დროს ლუდსა ვყიდდი, ხელი შეჩვეული მაქვს, თქვენთვის ხომ ჩვეულებას არ მოვიშლი?

ნართლაც არ იშლიან ალია და მისი ავან-ჩავანები ამ ახირებულ ჩვეულებას, მიუხედავად ამისა, რომ მისი ოინების შესახებ ბევრჯერ აცნობეს თბილისათობს.

ჩვენ ვფიქრობთ, ამხ. ნიანგო, რომ თუ შენი ჩანგლით თბილისათობს არ ეწვიე, — ქუჩებში დატარებული ნავთი ლუდივით აქაფებას არ მოიშლს.

ო. თიმსარიძე

ყოველი მხრიდან

წითელი არმიის შეტევა ფინეთზე განხორციელება თერაპიის შემუშავებულ დიდი გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს ჰიტლერის წინააღმდეგ შეტევას აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

(გაზეთებიდან)

ნახ. ს. წაღარეშვილითა



ფინანსები გაიშვიან სსრკ-ს ფრონტიდან
 გარდაცვალები იბადიდან უნახსოვო მკვლელები
 მუშაობენ რათა შეტევა საფრანგეთში
 ნაშთებით ვითარდება

მძიმი — ისუნთქეთ თავისუფლად!
 — როგორ შემძლიან... როდესაც ყუველ მხრიდან შემოიტიეს.